№1402 2015 წლის 3 ივლისი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში - 165 000 (ას სამოცდახუთი ათასი) ლარი - განახორციელოს ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ახალგაზრდული ცენტრის“ მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**